ქედის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა

N 690
29/07/2020

690-03-4-202007291450

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში მდებარე 135.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.01.31.007) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №24 დადგენილების „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებისა და მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში მდებარე 135.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.01.31.007) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში მდებარე 135.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.01.31.007) საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 432.0 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/“ბე“ განისაზღვროს 129.60 (ას ოცდაცხრა ლარი და სამოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

4. „ბიჯი“ განისაზღვროს 21.60 (ოცდაერთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

5. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდება გამარჯვებული ემატება საწყის გასაყიდ ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო გასაყიდ ფასს.

6. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2020 წლის 29 ივლის 17:00 საათზე და სრულდება 2020 წლის 10 აგვისტოს 17:00 სათზე;

7. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება.

8. აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

ა) აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მიწის ნაკვეთზე უნდა განახორციელოს 18 თვის ვადაში არანაკლებ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიცია და მოაწყოს საზოგადოებრივი კვების ობიექტი (სწრაფი კვების ობიექტი ან/და კაფე-ბარი) რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ღია ისე დახურული ტიპის;

ბ) ობიექტში დაასაქმოს არანაკლებ 3 ადგილობრივი მცხოვრები

გ) ობიექტის პროფილი შეინარჩუნოს არანაკლებ 10 წლით.

დ) ობიექტის ამოქმედება მოახდინოს მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 20 თვეში.

ე) მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე არ მოახდინოს მიწის ნაკვეთის გაყოფა ან გასხვისება.

ვ) ქონების მყიდველის მიერ აუქციონის პირობების ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონება უბრუნდება მესაკუთრეს - ქედის მუნიციპალიტეტს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

9. სხვა სააუქციონო პირობებად განისაზღვროს:

ა) აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მიწის ნაკვეთზე საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უზრუნველყოს სააუქციონო პირობების შესრულების მიზნით კანონმდებლობის შესაბამისად განსახორციელებელი ქმედებებისათვის დაწესებული ნებართვების ან/და ლიცენზიების ან სხვა უფლების მოპოვება.

ბ) აუქციონში გამარჯვებულმა პირმა შეძენილი მიწის ნაკვეთი არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმდაგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და ქედის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

გ) აუქციონში გამარჯვებულმა პირმა საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უნდა უზრუნველყოს საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ობიექტების ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება.

დ) შემძენი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების სათანადო წესით დადასტურების, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

ე) აუქციონში გამარჯვებულ პირს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება წარმოეშობა აღნიშნულის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

10. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონებების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

11. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

12. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (გ. წითელაძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

13. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ სამსახურს (ბ. სურმანიძე) წინამდებარე ბრძანება (პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.keda.ge.

14. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს რ. ბერიძეს.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა